

კიბერბულინგი საქართველოს ფეისბუქის სივრცეში

ირინე სეფერთელაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ემზარ ჯგერენაია



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2021

განაცხადი

„როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ირინე სეფერთელაძე

20/01/2021

აბსტრაქტი

კიბერბულინგი ინტერნეტის ერაში სწრაფად მზარდ პრობლემას წარმოადგენს. საქართველოს ინტერნეტ მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი, პოპულარულ სოციალურ ქსელში, ფეისბუქშია დარეგისტრირებული, რაც გვამღევეს საფუძველს ვიფიქროთ, რომ კიბერბულინგი უმეტეს შემთხვევაში, სწორედ ამ პლატფორმაზე ხორციელდება. წინამდებარე კვლევაში განხილულია საქართველოში ფეისბუქზე განხორციელებული ინტერნეტ ბულინგი სხვადასხვა სოციოლოგიური თეორიების ფონზე, რომელთაგანაც საგულისხმოა პიერ ბურდიეს თეორია. „სიმბოლური ძალადობის“ თეორიის შექმნიდან ათწლეულების შემდეგ ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ წარმოაშვა ახალი სოციალური პლატფორმები, რომელმაც თავის მხრივ წარმოაშვა სიმბოლური ძალადობისთვის ახალი „ველი“, სიმბოლური ძალადობის ახალი სახეობები და სიმბოლური კაპიტალის მოპოვების ახალი პლატფორმა - ფეისბუქი. კვლევაში, ასევე, განხილულია მსოფლიოში კიბერბულინგის თემაზე ჩატარებული კვლევები და სამეცნიერო სტატიები, რომლებიც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პრობლემის აქტუალობას.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერნეტ გამოკითხვის და დისკურსის ანალიზის პასუხებით გამოიკვეთა, რომ საქართველოში ქალები უფრო ხშირად ხდებიან კიბერბულინგის მსხვერპლი გარეგნული, ჩაცმის სტილის და მსგავსი მახასიათებლების გამო, ასევე, ხშირია LGBT საზოგადოების ინტერნეტ ბულინგი, სადაც ჭარბობს მათზე ფიზიკური ძალადობისკენ მოწოდებები. კიბერბულინგის გავრცელებული ფორმაა დამცინავი, არასასიამოვნო, უხეში, შეურაცხმყოფელი კომენტარების/მიმების გამოყენება, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს მსოფლიოს ტრენდებთან. საქართველოში ფეისბუქის მომხმარებლის გაღიზიანებას იწვევს სხვა მომხმარებლის ჩაგვრა და ხშირ შემთხვევაში მართლმსაჯულების აღდგენის მიზნით, მსხვერპლის დაცვის მოტივით, მომხმარებელი თავად ხდება აგრესორი.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კიბერბულინგი, ბულინგი, ინტერნეტი, ფეისბუქი, ინტერნეტ ბულინგი.

Abstract

In the age of the internet cyberbullying is a fast-growing problem. A significant part of Georgian Internet users are registered in the most popular social network Facebook, therefore, it is possible to assume, that the most cases of cyberbullying in Georgia happen in the above-mentioned social platform. The present study discusses the internet bullying carried out on Facebook in the frame of several sociological theories. The most important among them is Pierre Bourdieu. A decade after the creation of the theory “Symbolic power” the rapid development of technology has created a new “field” for symbolic violence and a new platform to gain symbolic capital. The study also discusses research and scientific articles on cyberbullying carried out around the world, which once again underscores the actuality of the problem.

The results of an online survey and discourse analysis conducted as a part of the present study revealed that women are more likely to be victims of cyberbullying. Types of cyberbullying carried out against women are mostly about their appearance, style, and other similar nature of bullying. The study also showed the frequency of internet bullying against the LGBT community, where they mostly are threatened to get physically abused. A common form of cyberbullying is the use of inconvenient, rude, abusive comments/memes which might be because of imitation of the world trends. In Georgia, Facebook users are often irritated by the oppression of other users by bullies, and in many cases, to restore justice, users behave aggressively with the motive of protecting the victim, and therefore they by themselves become bullies.

Keywords: Cyberbullying, bullying, Internet, Facebook, Internet bullying

მადლობა

გამოვხატავ გულწრფელ მადლიერებას თემის ხელმძღვანელის - ბ.ნი ემზარ ჯგერენაიას მიმართ, რომელიც მიუხედავად ქვეყანაში პანდემიის გამო შექმნილი ვითარებისა, მუდმივად მიწევდა კონსულტაციებს, მაწვდიდა რელევანტურ ლიტერატურას და მამლევდა სწორ მიმართულებას.

ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო კვლევაში ჩართულ ყველა ადამიანს, მათ მიერ გამოყოფილი დროისთვის და ინფორმაციის გაზიარებისთვის.